

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2022 წელი

შესავალი

- *ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები*

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა**
  ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.
- **მერის ანგარიში შედგენილია**
  საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე.
- **ანგარიშის სტრუქტურა**
  ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული და ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას. შესაბამისად, მერის ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს:

  - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებს;
  - ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას;
  - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებას;
  - კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებას;
  - მუნიციპალიტეტის მმართველობა და სერვისების ხელმისაწვდომობას.

წარმოგიდგენთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ანგარიშს განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

2022 წელს პრიორიტეტს წარმოადგენდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამების დაფინანსება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული ისეთ პროექტების განხორციელება როგორიცაა წყალმომარაგება, გარე განათება, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ტერიტორიის დასუფთავება და კეთილმოწყობა. მიუხედავად შესრულებული მრავალი დიდი და მცირე მასშტაბის პროექტისა, კვლავაც არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ყველა პრობლემის ერთბაშად მოგვარება წარმოუდგენელია, მაგრამ არსებული საბიუჯეტო რესურსების პირობებში, შევძელით ძირითად გამოწვევებზე პასუხი გაგვეცა, რამაც ბევრ დასახლებაში სასიკეთოდ შეცვალა ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრება.

➢ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვები

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 24 323 050 ლარს. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიზნობრივად ხმარდებოდა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების, საბიუჯეტო სფეროების და დარგების, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას.

პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება** - წლიური გეგმა შეადგენდა 14 009 550 ლარს, ხარჯი 13 551 545 ლარი - შესრულება 97 %.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა** -წლიური გეგმა შეადგენდა 997 500 ლარს, ხარჯი 996 830 ლარი - შესრულება 100 %.

- **განათლება** - წლიური გეგმა 1 798 685 ლარი, ხარჯი კი 1 781 420 ლარი- შესრულება 99 %.

- **სპორტის სფეროს განვითარება** - წლიური გეგმა 1 719 070 ლარი, ხარჯი 1 715 145 ლარი - შესრულება 100 %.

- **კულტურის სფეროს განვითარება** - წლიური გეგმა წარმოადგენდა 1 122 640 ლარს, ხარჯი კი 1 085 120 ლარს -შესრულება 97%.

- **ჯანმრთელობის დაცვა** - წლიური გეგმა 356 200 ლარი, ხარჯი 349 520 ლარი- შესრულება 98 %.

- **სოციალური დაცვა** - წლიური გეგმა 434 145 ლარი, ხარჯი 415 750 ლარი- შესრულებულია 96%-ით.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა განისაზღვრა 14 541 729, 48 ლარით. გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

1. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის მეშვეობით სულ გაფორმებულია 69 ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო თანხით 12 601 122, 62 (თორმეტი მილიონ ექვსას ერთი ათას ას ოცდაორი ლარი და 0, 62 თეთრი) ლარი;

2. გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით სულ გაფორმებულია 160 ხელშეკრულება საერთო თანხით 1040217,01 (ერთი მილიონ ორმოცი ათას ორას ჩვიდმეტი ლარი და 0, 01 თეთრი)ლარი, მათ შორის 68 ხელშეკრულება გახლავთ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე;

3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სულ გაფორმებულია 24 ხელშეკრულება საერთო თანხით 900 389, 85 (ცხრაასი ათას სამას ოთხმოცდაცხრა ლარი და 0, 85 თეთრი) ლარი;

❖ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

ინფრასტრუქტურის განვითარება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, 2022 წელს ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 14 009 550 ლარი, წლის ბოლოს შესრულებამ შეადგინა 13 551 545 ლარი, სულ განხორციელდა 109 პროექტი.

განხორციელებული პროექტები ითვალისწინებდა სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, წყალსადენი სისტემების მოწესრიგებას, სანიაღვრე არხების მოწყობას, საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების რეაბილიტაციას და მუნიციპალიტეტისთვის სხვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტების განხორციელებას.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2022 წელს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 16 პროექტი საერთო ღირებულებით 6 318 216 ლარი.

1. ქალაქ ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭის ქუჩის კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები - სახელშეკრულებო ღირებულება 4 199 773.65 ლარი, 2022 წელს ათვისებული თანხა 4 024 117.72 ლარი. მიმდინარეობს ხარვეზით შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების პრცედურები 146 000 ლარზე.
2. სოფელ კაჩაეთში შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2022 წელს ათვისებელი თანხა 306 954 - სახელშეკრულებო ღირებულებით 1 146 954.63 ლარი;
3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ,,სოფელ კლდისუბნის საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები". 2022 წელს ათვისებული თანხა **589 939** ლარი სახელშეკრულებო ღირებულებით **1 212 000** ლარი.
4. სოფელ ძირაგეულის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები 2022 წელს ათვისებული თანხა **171 548** ლარი სახელშეკრულებო ღირებულებით **597 777** ლარი.

5. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ,,სოფ. სადმელში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები". 2022 წელს ათვისებული თანხა **1 357 000** ლარი (პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2024 წელს, სახელშეკრულებო ღირებულებაა **3 264 000** ლარი).
6. ნიკორწმინდის სასოფლო გზის რეაბილიტაცია ასფალტირების სამუშაოების პირველი რიგი- სახელშეკრულებო ღირებულებით **541 141** ლარი.
7. ნიკორწმინდის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ბეტონის საფარით- სახელშეკრულებო ღირებულებით **266 088** ლარი.
8. ხოტევის სასოფლო გზის რეაბილიტაცია პირველი რიგი - სახელშეკრულებო ღირებულებით **309 385** ლარი.
9. სოფელ სხვავის სასოფლო გზის რეაბილიტაცია პირველი რიგი სახელშეკრულებო ღირებულებით **330 264** ლარი.
10. სოფელ ჟოშხის სასოფლო გზის რეაბილიტაცია პირველი რიგი სახელშეკრულებო ღირებულებით **336 122** ლარი.
11. სოფელ ბაჯში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა 2022 წელს ათვისებული თანხაა **60 000** ლარი. პროექტი გარდამავალია გაგრძელდება 2023 წელს, სახელშეკრულებო ღირებულებით **156 509.66** ლარი.
12. სოფელ გორის დასახლების თამარ მეფის ქუჩის წყალმომარაგების სისტემის“ მოწყობის სამუშაოები. 2022 წელს ათვისებული თანხაა **60 000** ლარი. პროექტი გარდამავალია და გაგრძელდება 2023 წელს, სახელშეკრულებო ღირებულებით **155 553.95** ლარი.
13. სოფელ პირველი ტოლის სასოფლო გზის რეაბილიტაცია- 2022 წელს ათვისებული თანხაა **200 000** ლარი. პროექტი გარდამავალია და გაგრძელდება 2023 წელს, სახელშეკრულებო ღირებულებით **407 536.39** ლარი.
14. სოფელ წესში სასოფლო გზის რეაბილიტაცია- 2022 წელს ათვისებული თანხაა **190 000** ლარი. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2023 წელს, სახელშეკრულებო ღირებულებით **478 921** ლარი.
15. სოფელ ხონჭიორში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - 2022 წელს ათვისებული თანხაა **200 000** ლარი. პროექტი გარდამავალია და გაგრძელდება 2023 წელს. სახელშეკრულებო ღირებულებით **547 346.95** ლარი.
16. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ,,სოფელ გაღმა ბარეულის წყალმომარაგების სამუშაოები". 2022 წელს ათვისებული თანხაა **100 000** ლარი. პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2023 წელს, სახელშეკრულებო ღირებულებით **355 691.3** ლარი.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში შესრულდა 795 000 ლარის ღირებულების 69 პროექტი. პროგრამის ფარგლებში ადმინისტრაციულ ერთეულებში შესრულდა შემდეგი პროექტები 21 სოფელში მოწესრიგდა განათება. 4 სოფელში-სპორტული ინფრასტრუქტურა. 4 სოფელში-სასაფლაოს შემოღობვა. 1-სოფელში აშენდა ამბულატორია. 8 სოფელში მოწესრიგდა საუბნო გზა. 18 სოფელში -სასმელი წყალი. 4 სოფელში მოეწყო საბავშვო სკვერი. სანიაღვრე არხები მოეწყო 3 სოფელში. ბეტონის საფარიანი გზა 3 სოფელში.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 18 ინფრასტრუქტურული პროექტი საერთო ღირებულებით 421 220 ლარი.

2022 წელს მთის განვითარების ფონდიდან დაფინანსდა ორი პროექტი:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშში საუბნო გზების (მეორე ეტაპი) რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით 262 966 ლარი.
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იწაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია თანხით - 263 158,00 ლარი, პროექტი გარდამავალია სახელშეკრულებო ღირებულებაა 1 180 000 ლარი.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა ქ. ამბროლაურში N1 საჯარო სკოლის ღობის მოწყობის სამუშაოები 8397 ლარით და სოფელ ხვანჭკარის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები - 87 404.64 ლარი.

„საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, ქალაქ ამბროლაურში დასრულდა მახალდიანის ქუჩის მიმდებარედ სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 4 553 200 ლარი შეადგინა, ასევე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა არსებული 8 წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები საერთო ღირებულებით 134 751 ლარი. დასრულდა ქალაქ ამბროლაურის როგორც რეგიონული ცენტრის სოციალურ-ეკონომიური, სპორტული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ღია სპორტული კომპლექსის მშენებლობის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 905 555 ლარი შეადგინა.

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში განახლდა ქ. ამბროლაურის ცენტრში მდებარე ორი სკვერი, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, დამონტაჟდა გარე განათება, განთავსდა მოსასვენებელი სკამები, დაირგა დეკორატიული მცენარეები, აგრეთვე მოეწყო ორი ღია სცენა, საბავშვო-გასართობი მოედანი ატრაქციონებით და ფანჩატურით. პროგრამის ფარგლებში ასევე გარემონტდა აღმაშენებლისა და კოსტავას ქუჩებზე მდებარე შენობების გარე ფასადები, სამუშაოებს ჯამში 1.8 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდა.

2022 წელს გაზიფიფიცირებასთან დაკავშირებით სიახლეს წარმოადგენს ზემო ჟოშხის, ქვემო ჟოშხის, ქვემო კრიხის, შუა კრიხისა და ზემო კრიხის გაზსადენი მაგისტრალის მშენებლობის პროცესის დაწყება. სამუშაოები 2023 წლის განმავლობაში შესრულდება, ასევე 2023 წელს დაიწყება სოფელ ბაჯში გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოები, ხოლო 2024 წელს იგეგმება სოფლების მუხლი და ბუგეულის მაგისტრალის მშენებლობის დაწყება. მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაზიფიცირება დასრულებულია 26 სოფელში.

ჩვენი ძირითადი მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი სარგებლობდეს კეთილმოწყობილი საავტომობილო გზით, ბუნებრივი აირითა და გამართული წყალსადენი სისტემით. მიუხედავად იმისა რომ ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი პროექტები ხორციელდება, აღნიშნული საკითხი მაინც მთავარ გამოწვევად რჩება, ამიტომ სამუშაო პროცესი კვლავ აქტიურად გაგრძელდება და მაქსიმალურად ვეცდებით ყველა იმ პრობლემის მოგვარებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის პირველი რიგის საჭიროებებს წარმოადგენს.

❖ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ხელშეწყობაა. სფეროს დაფინანსების მიზნით 2022 წელს

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 405 800 ლარი, დაფინანსდა 16 სოციალური დაცვის და 5 სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა. 2022 წელს დაინერგა გარკვეული სიახლეები და განხორციელდა რამდენიმე პროგრამის ცვლილება:

- 2022 წელს ამოქმედდა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვებისთვის 500 ლარით დახმარებას ითვალისწინებს, პროგრამის შესაბამისად დახმარება გაიცა 57 ბავშვზე, ჯამურად 28 500 ლარი.
- წარმატებით განხორციელდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციასთან ერთობლივი პროექტი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ბავშვსა და ბავშვიან ოჯახზე მორგებული სოციალური პროგრამების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებში 2022 ჩატარდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევა, მოხდა ადმინისტრაციულ ერთეულში ბავშვიანი ოჯახების სპეციალური ანკეტის საშუალებით გამოკითხვა, მიღებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე შედგენილი იქნა საჭიროებათა კვლევის ანგარიში რომელიც საფუძვლად დაედო 2023 წლის პროგრამის შემუშავებას და პროგრამის ბიუჯეტი 48 000 ლარით განისაზღვრა.
- ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამაში გათვალისწინებული იქნა გულის უკმარისობის III და IV კლასის დაავადების მქონე პირის მედიკამენტური მკურნალობის 600 ლარით დაფინანსება.
- გაიზარდა ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის მიერ დასაფინანსებელი მომსახურებების ჩამონათვალი დაემატა აორტოგრაფია და გენის კვლევა.
- ასევე შესაძლებელი გახდა წითელი ჯვრის დახმარებით უფასო კვების პროგრამაში მონაწილე პირებისთვის საცხოვრებელ სახლში საკვების მიწოდება. წითელმა ჯვარმა უზრუნველო სტიიქით დაზარალებული 20 ოჯახისთვის ჰუმანიტარული ამანათების გადაცემა.
- 2022 წელს საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ამბროლაურის სამედიცინო დაწესებულებაში დიალიზის სერვისი ამოქმედდა, აღნიშნული მომსახურებით 2022 წელს 21-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსდება მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელით უზრუნველყოფის თანხა.
- 2022 წლის ივნისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ (სოფლები - ზნაკვა, სადმელი, საკეცია, ლიხეთი, აბარი) 20 ოჯახზე საცხოვრებელი სახლის დაზიანების შესაბამისად გაიცა საკომპენსაციო თანხა 14 758.56 ლარი.

სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს დახმარება გაიცა 867 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 387 379.4 ლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით ისარგებლა 39-მა ბენეფიციარმა, გახარჯულია 28 829, 70 ლარი; საახალწლო და საადღგომო პაკეტით უზრუნველყოფა მოხდა 147 ბენეფიციარის

დაიხარჯა 12 149, 70 ლარი; ზამთრის თბობისათვის ფულადი დახმარება გაეწია 216 ოჯახს, დაიხარჯა 54 000 ლარი;

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა ახალშობილთა 75 ოჯახზე 32 000 ლარი, 132 მრავალშვილიან ოჯახზე გაცემულია 52 800 ლარი და 9 ახლადშექმნილი ოჯახზე 9 000 ლარი;
- ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა მარჩენალდაკარგულ 38 ოჯახზე 12 000 ლარი, 3 მარტოხელა მშობელზე გაიცა 900 ლარი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 17 ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით გაიცა 5 100 ლარი, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ყოველთვიური დახმარება გაეწია 54 პირს, ჯამში 55 700 ლარი.
- ხანძრის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახზე გაცემულია 40 000 ლარი, 9 ოჯახს უფინანსდება საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირის თანხა 16 400 ლარი;
- დაფინანსდა 2 გარდაცვლილი პირის სარიტუალო მომსახურება 1500 ლარით;
- 101 ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანზე გაცემულია 20 200 ლარი;
- „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე 21 ბენეფიციარზე გაცემულია 46 800 ლარი;

სამედიცინო მომსახურების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 285 000 ლარი, დახმარება გაეწია 453 ბენეფიციარს, გაცემული თანხა კი შეადგენს 278 757 ლარს, დაფინანსდა:

- ონკოლოგიური დაავადების მქონე 154 პაციენტის სამედიცინო მომსახურება 151 238 ლარით;
- ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე 129 პირი - 74 350 ლარი;
- ამბულატორიულ - მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების ფარგლებში დაფინანსდა 49 ბენეფიციარი თანხა შეადგენს - 24 359 ლარს;
- ანაზღაურდა ხანგრძლივად მოავადე 121 ბენეფიციარის მედიკამენტების ხარჯი - 25 310 ლარი.
- ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვება 3500 ლარი.

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით 10-მდე სამედიცინო აქცია გაიმართა. მოსახლეობას საშუალება ჰქონდა უფასო კონსულტაციები და გამოკვლევები ჩაეტარებინა სხვადასხვა პროფილის ექიმებთან. აქციის ფარგლებში, კონსულტაცია 300-მდე ბენეფიციარს გაეწია. ჩატარდა უფასო კონსულტაციები ბავშვებისთვის, რომელთაც ჰქონდათ სმენის დაზიანება და მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები, აღნიშნულის ფარგლებში დახმარება 50 ბავშვს გაეწია. ჩატარდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფასო კვლევები, მსურველებს საშუალება ჰქონდათ ადგილზე ესარგებლად მეან-გინეკოლოგის კონსულტაციით, აქციის ფარგლებში პაციენტებს 500 დან 1500 ლარამდე ღირებულების მომსახურება უფასოდ გაეწიათ.

მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩვენ ყოველწლიურად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ არსებული პროგრამები და ბევრი სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის ინტერესები გავითვალისწინოთ.

❖ კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

განათლება, კულტურის, სპორტის პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2022 წელს გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 4 640 395 ლარს. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსება გათვალისწინებული იქნა 10 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში შესაბამისი სფეროს განვითარებას. მუნიციპალური პროგრამების დასაფინანსებლად 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა - 161 800 ლარს, აქედან გახარჯულია 134 342.67 ლარი.

- **ფულადი ჯილდოები** - საჯარო სკოლის 7 ოქროსა და 6 ვერცხლის მედალოსანს გადაეცა ფულადი ჯილდო ჯამში 3300 ლარი; დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 12 პირველი კურსის სოციალურად დაუცველი სტუდენტის სწავლის საფასური - 23125 ლარი; კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდება მიენიჭა და ფულადი ჯილდო გაიცა 22 პირზე ჯამში - 22 000 ლარი. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს 3 ჩემპიონებზე გაიცა ჯილდო ჯამში 7 500 ლარი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ 6 მოსწავლეს გადაეცა პორტატული კომპიუტერი. (ღირებულება - 9000 ლარი);

- **ღონისძიებები** - 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა - **დაუნის** სინდრომის მქონე პირთა მხარდამჭერი აქცია - 1100 ლარი. საგანმანათლებლო პორტალი ,,izrune.ge" მომსახურების შესყიდვა - 3000 ლარი; საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის" მომსახურების შესყიდვა 2960 ლარი;
  26 მაისის ღონისძიება, საქართველოს სახელმწიფო დროშის დღის აღსანიშნავი აქციის ორგანიზება, ანსამბლ „თარიკონის" საიუბილეო საღამოს ორგანიზება და სახელობითი ვარსკვლავის გახსნა, მესტიის თეატრის გასტროლის ორგანიზება, ვეტერანების დღის ღონისძიება, მუსიკალური ღონისძიება, „კუდოში" საქართველოს თასის ღონისძიების თანაორგანიზება, ველო მარათონი (58 საერთაშორისო მონაწილე), სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური თამაშების ორგანიზება, ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის ოპტიმიზაცია, საახალწლო ღონისძიების ორგანიზება ჯამში - 45 543.41 ლარი.
- **მოსწავლეთა ტრანსპორტირება** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურების პროგრამაში ჩართულია 14 სკოლის 216 მოსწავლე, მომსახურება ხორციელდება 78 მარშრუტზე (სერვისს უზრუნველყოფს 31 სატრანსპორტო საშუალება). 2022 წლის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მთლიანი თანხა შეადგენდა 258 610,74 ლარს, აქედან გახარჯულია 249 859,42 ლარი; მოსწავლეთა უფასო გადაყვანის პროგრამის განხორციელების მიზნით გახარჯულია - 16998,2 ლარი, დამზადდა 400 ბარათი - ღირებულება 250 ლარი.

❖ მუნიციპალიტეტის მმართველობა და სერვისების ხელმისაწვდომობა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 01 იანვრიდან საქმისწარმოება მიმდინარეობდა მუნიციპალური მართვის სისტემის (Msd) პროგრამის მეშვეობით, ახალი

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის პირობებში გამარტივდა განცხადებების წარდგენის პროცესი, დაიზოგა მოქალაქის ფინანსური და დროის რესურსი. მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებით მიზნით აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, მხარეებს შორის გაფორმებული იქნა თანამშრომლობის მემორანდუმი და მერიის საჯარო მოხელეს მიეცა შესაძლებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით მოახდინოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველთა ბაზიდან სარეიტინგო ქულის შესახებ ინფორმაციის მიღება, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობას.

ელექტრონულ სისტემაში არსებულმა დოკუმენტების რაოდენობამ შეადგინა 37 028, კანცელარიაში შემოსული განცხადება/ მომართვა 6 969, გასული დოკუმენტი 7040, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბრძანება 3405, შიდა დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი ბარათი, სამსახურეობრივი აქტი) 4423.

შესაბამისი მომართვის საფუძველზე 22 ობიექტებზე (II-III კლასი) გაიცა სამშენებლო ნებართვა, ასევე 85 პირველი კლასის ობიექტზე შეთანხმდა სამშენებლო პირობები. აღნიშნულ პერიოდში ექსპლოატაციაში მიღებული არის 15 ობიექტი.
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაიცა 56 საჯარო ინფორმაცია, მომზადდა 827 ცნობა, მომზადდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 32 დადგენილებისა და 40 განკარგულების პროექტი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის საფუძვლით ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლების წინააღმდეგ მომზადდა 3 სარჩელი, 1 სააპელაციო საჩივარი, 4 შესაგებელი. განხილული იქნა 5 ადმინისტრაციული საჩივარი.

მოსამსახურეთა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ორგანიზების მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ გვერდზე გამოაცხადა 7 ღია, 8 დახურული, 4 შიდა და 1 გამარტივებული კონკურსი.

მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმის საფუძველზე სწავლება გაიარა 7-მა საჯარო მოხელემ, გეგმა ითვალისწინებს 8 სასწავლო სფეროში მერიის მოხელეთა გადამზადებას სწავლების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული იქნა სსიპ „ფინანსთა სამინისტროს აკადემია“-სთან და სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტი“-სთან ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 3455 ლარი. ასევე სხვადსხვა სამინისტროებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სწავლება/ტრენინგი გაიარა 46 თანამშრომლებმა.

- **დელეგირებული უფლებამოსილებები**

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მიღების მიზნით მერიას მომართა 265 მოქალაქემ. სტატუსი მიენიჭა 238 მოქალაქეს. სტატუსის აღდგენის მიზნით მომართა 15-მა მოქალაქემ, მათი საკითხი გადაწყდა დადებითად. წლის განმავლობაში მონიტორინგი ჩაუტარდა 2186 პირს, რის საფუძველზეც სტატუსი შეუწყდა 325 პირს. აქედან: გარდაცვალების გამო 275 -ს, არ ცხოვრების მიზეზით 46 -ს, რეგისტრაციის მისამართის ცვლილების გამო 4-ს. სტატუსი შეუჩერდა 16 პირს. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსს ფლობს 8467 მოქალაქე.

2022 წლის განმავლობაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამხედრო მობილიზაციისა და გაწვევის სამსახურს მიერ გამწვევ კომისიაზე გამოცხადებული 29 წვევამდელიდან 4 წვევამდელი ჩაირიცხა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში, სამხედრო რეზერვში ჩაირიცხა 22 მოქალაქე.

- **გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება**

მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი არაერთ მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობს. დამტკიცდა ამბროლაურის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2022-2025წწ. მერია მიზნად ისახავს გააუმჯობესოს მმართველობითი სისტემა, დანერგოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტები, ხელი შეუწყოს ადგილობრივი დონეზე მოქალაქეთა ჩართულობას, და აამაღლოს ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტები. გეგმის შესრულებით მერია დროულად უპასუხებს ადგილობრივ გამოწვევებს და გაატარებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ რეფორმებს.

განახლდა მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი, (www.ambrolauri.gov.ge) რომელიც არის ბევრად უფრო მობილური, გვერდზე პროაქტიულადაა გამოქვეყნებული ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტის, შესყიდვების, ქონების, აუქციონების, კონკურსების, ინფრასტრუქტურული პროექტების, სხვადასხვა ფონდიდან მიღებული თანხების, ადმინისტრაციული ხარჯების, მუნიციპალური სერვისების შესახებ. ასევე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ვებგვერდის გამოყენებით წერილით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, დაარეგისტრირონ პეტიცია, დააფიქსირონ ინიციატივა ან მოგვაწოდონ ინფორმაცია მომხდარი ფაქტის შესახებ.

მუნიციპალიტეტი ჩართულია ევროსაბჭოს პროექტში - მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის კუთხით არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოს გაუმჯობესება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის თემებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების შესაძლებლობებისა და უნარების გაძლიერება.

2023 წლის აპრილის თვეში დაგეგმილია ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარებს, რომელიც მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების გაზრდას.

მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით მუნიციპალიტეტში მოქმედებს ისეთი საბჭოები როგორიცაა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, 2022 წელს გაიმართა 5 სხდომა, საბჭოს თავმჯდომარე მონაწილეობას იღებს პრიორიტეტის დოკუმენტის შედგენის პროცესში. მუნიციპალიტეტის 69 სოფელში ჩატარდა დასახლებათა საერთო კრება, რომელზეც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შეირჩა, ასევე მერიაში მოქმედებს შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო, მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო და სოციალური მრჩეველთა საბჭო.

ჩემთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში ახალგაზრდობის სრულფასოვანი მონაწილეობა. 2022 წელს დაიწყო მუშაობა ახალგაზრდული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაზე, ახალგაზრდული პოლიტიკის სწორად შემუშავება და განხორციელება კიდევ უფრო ზრდის ახალგაზრდობის პოტენციალსა და როლს. ჩვენი მიზანია ახალგაზრდებს დასაქმებაში პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერა, ახალგაზრდული საბჭოს წევრების წახალისება, საბჭოს წევრების მოტივაციის გასაზრდელად მოხდა ბრენდირებული საჩუქრების გადაცემა, უზრუნველყოფილი იქნა წევრების სოფელ ანაკლიაში გამართულ ტრენინგში მონაწილეობა.

- **შიდა აუდიტი და ინსპექტირება**

2022 წლის საანგარიშო პერიოდში ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ სტრუქტურულ ერთეულს და ცხრა იურდიულ პირს. შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე აუდიტის ობიექტებს მიეცათ სათანადო რეკომენდაციები (სულ გაიცა 17 რეკომენდაცია). საანგარიშო პერიოდში ინსპექტირების განყოფილების მიერ განხორციელდა სამი დისციპლინური წარმოება რის შედეგადაც გაიცა რეკომენდაცია ორი საჯარო მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ,,გაფრთხილების“ დაკისრების შესახებ.

- **მუნიციპალიტეტის შემოსავლები და ქონება**

მუნიციპალიტეტი აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის დაფინანსებით და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. წარდგენილმა 2 პროექტმა, „მრავალფუნქციური ღია სპორტული კომპლექსის მშენებლობის სამუშაოები“ და „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 წყაროს თვალის კეთილმოწყობის სამუშაოები“, გაიმარჯვა აღნიშნულ კონკურსში და მიიღო დაფინანსება 905 555. 98 და 131 424. 13 ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტი აქტიურადაა ჩართული გაეროს განვითარების ფონდ UNDP-ის, იაპონიის საელჩოს და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში.

გაიზარდა ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავლები და გადააჭარბა წლიურ გეგმას კერძოდ:

- ✓ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი - 34 237.32 ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 000 ლარის.
- ✓ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 394 739. 42 ლარი.
- ✓ დასუფთავების მოსაკრებელი - ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 000 ლარის შემოსულია 34 523.23 ლარი.

გარკვეული სიახლეები დაიგეგმა დასუფთავების მოსაკრებლების ადმინისტრირების კუთხით, 2022 წელს დაიწყო მუშაობა მოსაკრებლის გადამხდელთა ელექტრონული ბაზის შექმნაზე, მოხდა დასუფთავების მოსაკრებლის მონაცემთა ერთიანი საბილინგო ბაზის სრული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქალაქ ამბროლაურის

აბონენტთა ბაზის სრულყოფის სამუშაოები, სისტემაში უკვე ასახულია მოსაკრებლის გადამხდელი ყველა იურიდიული პირების შესახებ მონაცემები.

მიმდინარე წელს მოხდა ადრეულ წლებში დარეგისტრირებული მუნიციპალური ქონების ხელახალი რეგისტრაცია, რადგან იმ პერიოდში არსებული სუსტი ტექნიკური საშუალებების გამო ფიქსირდებოდა უზუსტობები, ასევე მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა 37 მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობი 16 660 კვ.მ. მუნიციპალიტეტში წარმატებით დაინერგა ქონების მართვის ელექტრონული პროგრამა, სადაც ქონების აღრიცხვის მიზნით საფინანსო და ქონების მართვის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა მიერ ხდება ინფორმაციის შეტანა, საქართველოს ადგილობრივი ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ქონების მართვისა და საბუღალტრო ელექტრონული პროგრამების წარმატებით დანერგვისთვის ჯილდო გადაეცა მერიის საფინანსო სამსახურს.
მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების პრივატიზების მიზნით 2022 წელს გამოცხადებული იქნა ელ. აუქციონები 24 ლოტად, გამარჯვებულები გამოვლინდა 19 ლოტზე, პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 415 150.63 ლარი.

მერიის აქტიური ჩართულობითა და ორგანიზებით საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე ქ. ამბროლაურში გურგენიძის ქუჩაზე, სოფელ ურავში და ხვანჭკარაში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში მცხოვრებ 86 ოჯახს სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცათ წლების განმავლობაში დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართები.

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდა და არსებული აქტუალური პრობლემების გადაჭრა წარმოუდგენელია ეკონომიკური განვითარების გარეშე, მუნიციპალიტეტს გააჩნია პოტენციალი ტურიზმის განვითარების რაც მკვეთრად გაუმჯობესებს არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, 2022 წელს ტურიზმის ხელშეწყობისა და ეროვნული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა ისეთ მასშტაბურ ღონისძიებებს როგორიცაა „ღვინის ფესტივალი“, „ღვინის დღეები“ და „გემო ფესტი“. ყოველწლიურად იზრდება მუნიციპალიტეტში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, 2023 წლიდან ახალი ტურისტული ლოკაციის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში იგეგმება ახალი ლოკაციის კურორტი ჭუთხაროს შექმნა, რომელიც სამთო-სათხილამურო მიმართულებით შეიძლება წამყვანი კურორტი გახდეს. სამთო-სათხილამურო კურორტის არსებობა ხელს შეუწყობს რეგიონში ინვესტორების მოზიდვას და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ესეთი გახლდათ 2022 წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში, უმთავრეს ამოცანად კვლავ რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში საზოგადოების, ცალკეული მოქალაქეების მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და მათზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა, რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის. გპირდებით, რომ ჩემს ხელთ არსებულ ყველა რესურსს გამოვიყენებ მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის.

გმადლობთ ყურადღებისთვის!